კვირა 19 ივნისი 1916 წ. ფასი 12 კაპ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, ოლღასქუჩა № 6.

ეშეკერი მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 25

პირველი კრება წერა-კითხვის საზოგად. მასწავლებელთა.

ლ. ბოცვაძე. ბრძანეთ ბატონებო რამე გოგებაშვილის სახელმძღვანელოთა შესახებ.
მასწავლებლები. . . . . . .
ლ. ბოცვაძე. Молчаніе знакъ согласія.

☛ კონკურსი!

ქართველთა შორის წერა-კითხვის დამაბნელებელ საზოგადოების სასკოლო სექციამ უკვე გამოიმუშავა სახელმძღვანელოთა ტიპი

საშლითა სკოლისათვის.

I	განუოფილებისათვის	ტ. ბიკონი
II	„	ყამნი
III	„	დავითნი
IV	„	ბიბლია

სასკოლო სექცია ამით აცხადებს საჯარო

კონკურსს:

ვინც უკეთესად დასწერს აღნიშნულ სახელმძღვანელოებს მას არ აეკრძალება ლაპარაკი მასწავლებელთა კრებაზე, როცა კი მე თავმჯდომარე ვიქნები.

პატივისცემით ლ. ბოცვაძე.

ქურდის დასჯა

(ოკაჯი)

ადლო კაცის სახელია
და ადლისგან წარმოსდგება,
რადგან ადლმა მიანიჭა
მას სიმდიდრე და დიდება.
ეხლა ადლო ვაჭარია
და აქვს დიდი მაღაზია,
მოუვლია ბევრი კუთხე,
ევროპაა, თუ აზია.
ვაჭრობის და დალალობის
გაუცვნია ყველა მხარე,
მუმც ამ გზაზე ბევრ სიტკბოსთან
მას შეუსვამს ბევრიც მწარე.
ზოგ შემთხვევამ აზარალა
ზოგმა მისცა ბევრი რამე
ასეთია საქმის „რისკი“
სხვანაირად სითამამე.
ბოლოს, როცა აქეთ-იქით
მას მოჰბეზრდა წოწვა-თრევა,
ადგა, გახსნა მაღაზია:
შიგ სიმდიდრე არ ეტევა!..
ჯერ მოზიდა უთვალავი
ფართლეული, ოქრო-ვერცხლი,
მაგრამ რადგან ასეთ რამეს
ანადგურებს ხშირად ცეცხლი,
დიდ ძალ ფულად დააზღვევა,
უზრუნველ-ჰყო ყოველ-მხრივად
და დაიწყო „პარკის ხვევა“
ისე რაღა... ქონებრივად!
გამდიდრების საშვალება
ბევრია და მრავალ გვარი...
ჯერ ამ მიზნით მოიშველა
ადლომ ცეცხლის ნიაღვარი:
დამზღვევ საზოგადოებას
ააწაპნა ფული ბლომათ,
მაგრამ ესეც რომ არ ეყო
ხარბი გულის გასაძღომათ,
კვლავ საქმეში ჩააბანდა
ეს სიმდიდრე ამოდენა:
ისევ გახსნა მაღაზია
და საქონლით გამოტენა.

წაივაჭრა სარფიანად
ისე: ერთი, ორი წელი
და მესამეს, რომ მოზიდა
დიდი ძალი საქონელი.
ისარგებლა სხვების ნდობით,
გაიკოტრა განგებ თავი
და ამ ხერხით შეიძინა
მან სიმდიდრე უთვალავი.
ეხლა ზის და ითვლის ნელ-ნელ
შემოსავალს ყოველ დღიურს
და ატარებს უზრუნველად
ტკბილ ცხოვრებას ამ ქვეყნიურს ..
და, განგებავ... ჰოი, ერთ დღეს
ვიღაც ოხერს, ვიღაც ავსულს,
ადლოს მდიდრულ სავაჭროში
ქურდს, ვითომდა მუშტრად მისულს,
ერთი ნემსი მოეპარა
ერთ შაურად ღირებული,
მართალია არც ადლოა
იმდენათ გაჭირებული,
რომ დიდ რამეთ თავს დაატყდეს
მას შაურის დანაკლისი,
მაგრამ პარვა რომ არ არის
საქმე კაცის საკადრისი,
აი მისთვის მან ის ქურდიც
წესის მცველებს მისცა ხელში
და დღეს ზის ამ სიავისთვის
ის ბედკრული ციხე ბნელში...
ჩვენ კი ვსთქვათ: თუ ნემსის ქურდი
აქლემის ქურდს ედარება,
ადლოს რაღათ შერჩეს ქვეყნად
სიმდიდრე და ნეტარება?!.

ონისიმე.



პატარა ფელეტონი.

„კრიტიკოსები“.

ერთხელ, „ნობილ“
კრიტიკოსებს:
შაქროს,
ზაქროს
და იოსებს—
მოეყარათ ერთათ თავი
მწერლობაზე ჰქონდეთ დავი.
შაქრომ ბრძანა:
—„ჩვენს პოეტებს
როგორც ძველებს
ისე ახლებს—
არ ატყვიათ ნიჭი წერის..
სასურველათ ვერვინ მღერის!
ხალხის ვარამს,
გულის ნადებს
ცხოვრებისგან
ნალაღადებს—
ვერ ხატავენ ნათლათ, სწორათ
აჭარბებენ ერთი-ორათ!..
ერთი ცაში
დანავარდობს
ძირს, ქვეყნისთვის
აღარ დარდობს—
მაშვრალთათვის კრინტს არა ძრავს
მზეს და მთვარეს ლექსებს ათხზავს!..
მეორე კი...
მიწას ეტრფის,
ხშირათ თავის
მუზას ებრძვის,
ის განშორდა სინამდვილეს—
მგონი, სხვებმა მოატყვილეს!..
მესამე-კი
ქალთ უმღერის,
უნარი აქვს
ლექსის წერის—
მარად კოცნა ელანდება
მთლათ წაბილწა ხელოვნება!..
ჰო და ასე,
ჩვენს მწერლობას
ქართულ ჟურნალ-
გაზეთობას—
აღარა ჰყავს აწ მწერლები,
მე მათ ვიცნობ, ვუკვირდები“...
ზაქრო ოდნავ
გაიღიმა—
შუბლის ძარღვნი
დაეჭიმა—
გამოესარჩლა პოეტებს
ის მათ სრულად ვერ იმეტებს!..
ის შაქროს აზრს
აკრიტიკებს
და შეცდომებს
მიუთითებს!..
უთხრა ბოლოს: —„მასეთ რწმენას,
გეფიცები მაღალ ზენას—
შენ ამაოთ
ემყარები
მათ იდეალს
ვერ მიწვდები!..
პოეზიის ქურუმ-მცველნი,
ვით ახალნი, აგრეთ ძველნი:
მაგალითად,
ბარათაშვილს
პესიმისტსა
გულ-გატეხილს—
სჯობს ახალი პოეტები
ჭაბუკნი, ახალ-გაზრდები!..
მათი მწყობრი
ჩანგის ჟღერა
ბრძოლის ხმა და
რიხით წერა—
ქვეყნათ კეთილს დაამყარებს
მშრომელთ გულსაც გაახარებს...
ბევრს წვალობენ
და იღწვიან,
თუმც ახალს
ვერას იტყვიან—
მაინც უნდა პატივი ვსცეთ
ზოგჯერ გონორარიც მივცეთ!..
თქვენ აქ მათზე კრიტიკოსობთ
დახმარებას კი არ ფიქრობთ!..
ჭეშმარიტად
ბევრსა სწერენ

მკითხველები
გააჯერენ—
ყოველ წუთში ლექსებს თხზავენ
ხალხს თეატრში უკითხავენ!
ზოგს ინახვენ
ზოგსაც წვავენ,
ზოგს გოდორში*)
თავს უკრავენ—
და ამგვათათ იმათ ვარამს
უკუნეთი ბნელი ჰფარავს!..
ახლა მე თქვენ
გეკითხებით,
თუ მათ ტანჯვას
კარგათ ხვდებით:
რა აზრი აქვს საყვედურებს,
რომლითაც თქვენ გვიჭედთ ყურებს?..
—„ბევრსა სწერენ
მართალია,
მაგრამ ეს
ჩვენი ბრალია—
ვურჩიოთ და გავაფრთხილოთ
ავი, კარგი განვიხილოთ.
თუმც ეგ ფაქტი
არ მაკვირებს,
რადგან კავკასიის
შვილებს—
ძველათ მოსდგამთ პოეტობა
მოსწონთ მათ რუსთაველობა!..
მხოლოდ ჩვენა
(კრიტიკოსებს),
როგორც მცოდნეთ
კულტურულნებს—
არ შეგვშვენის აგრე ყოფა
გაიხრწნა ახალგაზრდობა!..
დროა, დროა
მივეშველოთ
სიმართლე ვსთქვათ,
ვიგულწრფელოთ—
რას მიქვიან პარტიობა,
ჩვენი საქმეა ძიობა!..

ახლა ბევრი,
ბევრი ჩემობს
მგოსნურ განცდა
რო იგემოს,—
და ვინც ძალით კრიტიკოსობს
ის რეგვენ ფილოსოფოსობს...
მითხარ ის რას
დააფასებს?
აბა, ვკითხოთ
ჩვენს იოსებს“—
და, თვალებში მიაცქერდა...
იგი ამ დროს ძალზე სთვლემდა!..
— „ჰო, მეც ვიტყვი
ორსა სიტყვას,
სინამდვილე
უნდა ითქვას—
— არ გვყავს, არ გვყავს პოეტები,
როს ვიგონებ, ჯავრით ვდნები!..
ახალს, ცოცხალს
არვინ ამბობს,
ძველს ღეჭავენ,
ყველა ლაყბობს—
თუ არ ეხსნენ ასეთ წესებს
ალარ წავიკითხავ ლექსებს!.
რა თქმა უნდა:
მეწყინება
და ხშირათ
ჩამეძინება—
როცა ვისმენ მხოლოდ რიფმებს
ათასჯერ თქმულს აზრსა, სიტყვებს?!
სადღა არიან
მწერლები?
სულ-მნათნი
ჩვენი ძველები—
როს მათ ნაწერს ვკითხულობდით
მთელ ღამეებს ძილს ვიფრთხობდით“!..
სთქვა და
ხელი ჩაიქნია,
თითქო მიზანს
მიაღწია—
რა-კი მან მგოსნები ზრახა
სახით შვება გამოსახა!..
მაგრამ ვანო
(მეგობარი)

*) რასაკვირველია, რედაქტორები.
ალბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი სიტყვით
გულ-დამწვარი—
სხვას ფიქრობდა, სხვას ამბობდა
მოძმეთ მცნებას უარყოფდა!.

—

მოხდა შფოთი
და...ეს დავა,
მათი ჩხუბით
დაეთავა!—
ამის შემდეგ „კრიტიკოსებს"
ვერსა ვხედავ ერთათ ბჭობდეს!..

ალბურიონი.



დამფუძნებელი კრება

თფილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა კავშირისა.

მოსაზრებანი.

ფილოლოგათ, თუ ლინგვისტათ თავი არასოდეს არ მიმიჩნევია, მაგრამ ვინ არ იცის, რომ უმეტესობა ქართული სიტყვებისა უცხო ენის ძირებზე არის აღმოცენებული. ამ მხრივ დამაფიქრა სიტყვა „დამ-ფუძნებელ"-მა.

დამსწრე მასწავლეძელთა ცხრა მეათედს ქალები შეადგენდენ, რაიც ფრიად სასიამოვნოა საღი პედაგოგიური თვალსაზრისით და არ შემიძლია მეც სიხარული არ გამოვსთქვა. მიუხედავათ ამისა, დიაცთა სიჯარბემ მაფიქრებინა ძირი ზემოაღნიშნული სიტყვისა „დამა-ფუძნე-ბელი" ფრანგულ ენაში მეძებნა და აი მყისვე გამოირკვა ყოველი. „დამა",— თუ არა ვცდები, ქალს ნიშნავს, ხოლო ფუძე— იგივე საძირკველია. ამგვარათ, „დამაფუძნებელი" ნიშნავს „ქალებზე დამყარებულს" და ვინც კი აღნიშნულ კრებას დაესწრო, დარწმუნებული ვარ ეჭვს არ შეიტანს ამ გამოკვლევაში.

განსვენებულნი.

კრებას ხსნის საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე ვარლამ მარკოზის-ძე ბურჯანაძე. დარბაზში მხიარულების სიო ჰქრის. სცენაზე საორგანიზაციო ბიუროს წევრები სხედან.

თავმჯდომარე. ბატონებო, ვიდრე მორიგ საქმეებზე გადავიდოდეთ, ურიგო არ იქნება ჩვენი ყურადღება მცირე ხნით წარწულს მივაპყროთ. თქვენ ყველას მოგეხსენებათ მეხუთე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე გარდაიცვალა ინდოელთა ცნობილი პედაგოგი კარატავაგა რაგინა. გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ მის ხსოვნას.

— ერთად სდგებიან და სხდებიან.

თავმჯდომარე. ბატონებო! იმავე საუკუნეში გარდაიცვალა ჩინელთა უდიდესი მასწავლებელი ბ-ნი ჩან-ჩურ-ა. გთხოვთ პატივი სცეთ.

— ერთად სდგებიან და სხდებიან.

თავმჯდომარე. ბატონებო! პირველ საუკუნეში იაპონიის ერმა დაჰკარგა თავისი საუკეთესო წარმომადგენელი პედაგოგიურ ასპარეზზე მაკატო კატაკუდა. გთხოვთ ადგომით პატივი სცეთ.

— სდგებიან და სხდებიან.

თავმჯდომარე. ბატონებო! 1037 წელს დაობლდა ჩვენი მეზობელი სპარსელთა ერი. მან დაჰკარგა ერთი უდიდესი პედაგოგი ბ-ნი ალი-მირზა-ბაბა-ხუსეინ ზადე. გთხოვთ პატივი სცეთ.

— ყველანი სდგებიან და სხდებიან.

თავმჯდომარე. ბ-ბო! საჭიროა მოვიხსენოთ ბერძენთა სიამაყე პედაგოგი სინდიკოპულო. გთხოვთ პატივი სცეთ მის ხსოვნას.

— სდგებიან.

უცნობი. ბატონო თავმჯდომარე, გთხოვთ წესრიგისათვის.

თავმჯდომარე. ინებეთ.

შცნობი. ბატონებო, თუ ჩვენ თითო ჭიჭით... უკაცრავად... თუ ჩვენ თითო-თითოდ მოვყევით ყველა განსვენებული პედაგოგის მოხსენებას ეგ ძლიერ შორს წაგვიყვანს. წინადადებას ვიძლევი თითო ჭიქაში... ეჰ, დასწყევლოს... თითო ადგომა დაჯდომაზე რამოდენიმე მოვიხსენიოთ.

— წინადადება მიიღეს.

თავმჯდომარე. მაშ გთხოვთ, ბატონებო, პა-

ტივი სცეთ იტალიელთა პედაგოგს ჩიგირინის, ფრანგთა ბონჟურიეს და ინგლისელთა ჯონ ფისტონს.

— უმეტესობა დგება.

თავმჯდომარე. გთხოვთ პატივი სცეთ ისპანიელთა მასწავლებელ დონ ბუასილიოს, გერმანელთა ფონ შტრინგერს და რუსთა ივან ივანოვს.

— მესამედი ნაწილი კრებისა სდგება. სხვები ცდილობენ, მაგრამ ველარ დგებიან.

თავმჯდომარე. ბატონებო გთხოვთ პატივი სცეთ სომეხთა მასწავლებელ აგარონიანის და ქართველთა პედაგოგის გოგებაშვილის ხსოვნას.

— სდგება ორი კაცი: ერთი ქართველი და ერთიც სომეხი.

მილოცვები.

ბ-ნებო! უნდა გამოგიტყდეთ, რომ უკიდურეს სასოწარკვეთილებაში ვვარდები, როცა ვხედავ საზოგადო მოლვაწეს, რომელიც გაშლის ქალალდს და კითხულობს იმას, რაც წუხელ თითონვე დაუწერია. უმთავრესად, როცა ეს ნაწერი მილოცვას წარმოადგენს.

მილოცვა. ეგ სიტყვათა შეჯიბრება, მჭევრმეტყველობის ჯირითი, მქუხარე ფრაზათა დოლია. მე ძლიერ მიყვარს ასეთი შეჯიბრება და ჩემმა აღტაცებამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია ამ მილოცვების დროს. განსაკუთრებით მშვენიერი იყო „ზვირთის“ წარმომადგენელი, ბ-ნი ბალიაღაშვილი, რომელსაც მეტის გრძნობიერებით მესამე სიტყვაზედვე დაება ენა.

დიმიტრი დუმბაძის რიხიანი კილო, გ. ყაზბეგის მამაშვილური დარიგება, ა. ხატისოვის მხურვალე სურვილი, დარბაისელი მარქარიანის ჩინებული განცხადება, ბ-ნი პალმოვის ტკბილი იუმორი, ბ. ადოევის დაუფასებელი გულ კეთილობა, ჭუმბაძის პოეზია და სხვ. და სხვა, ერთი მეორეს ჩრდილავდა, ერთი მეორეს უსწრებდა სავარჯიშო მოედანზე. ტაშისა და ვაშას გუგუნისაგან ელექტრონის ლამპებში მავთულის ძაფები დაწყდა და გალიორკაზე აქა იქ შუშები ჩაიმტვრა.

საერთო გატაცებას, აღტაცებას წარტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ეს საუკეთესო განყოფილება იყო დამფუძნებელი კრებისა.

ლ ე ქ ც ი ე ბ ი.

სოფლიდან ჩამოხვეწილ სახალხო მასწავლებელთა განვითარებას საორგანიზაციო ბიურო ენერგიულათ მოეკიდა. ლექცია ლექციასა სცვლიდა, მოხსენება მოხსენებასა და მსმენელთა თავები თვალსაჩინოთ ივსებოდა და მძიმდებოდა. პატივცემული ლუარსაბ ბოცვაძის ლექციის დროს თავის სიმძიმემ უკიდურეს ხარისხს მიაღწია და ვინაიდან მისი მხრებზე შეჩერება შეუძლებელი დარჩა, დიდმა უმრავლესობამ თავები სკამების საზურგეზე, მოაჯირებზე და მეზობელთა მხრებზე ჩამოაწყო.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოფლად გაბრუნებულ მასწავლებელს კიდევ კარგა ხანს ასაზრდოებს ამ ბედნიერ დღეთა მოგონება. განსაკუთრებით ლექცია „ბუზებთან“ ბრძოლის შესახებ საფუძვლათ დაედება მათ საზაფხულო მოღვაწეობას.

ა რ ჩ ე ვ ა ნ ი.

ჩვენი სამშობლო ცნობილია, როგორც დაკრძალვისა და არჩევნების ქვეყანა. ამიტომ სულაც არ გამკვირვებია, როცა არჩევნების საკითხმა ლექციებისაგან მოდუნებული ხალხი გამოაცოცხლა და გამოაფხიზლა. დარბაზში ყურთა სმენა არ იყო. თავმჯდომარეს შვიდიოდ ზარა შემოატყდა, ხუთიოდეჯერ დოს აქტავის აღება დასჭირდა.

მე დიდხანს არ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას ამ საგანზე, ვინაიდან კმარა რაც მასზე დრო და ენერგია დაიხარჯა.

შემცდარი შეხედულობა.

საქართველოში შემცდარი შეხედულობა გამეფებულა „ეშმაკის მათრახის“ მხატვრობის შესახებ. ფიქრობენ თურმე, რომ „მათრახში“ მარტო ჯოჯოხეთის მტრებს ხატავენო. ეს შეცდომაა. ჩვენთვის ერთგვარათ ძვირფასია მტერიც და მოყვარეც.

ალბათ ამ შემცდარ შეხედულობის ნიადაგზე აღმოცენდა შეთქმულობა ჩვენს წინააღმდეგ. ერთმა მასწავლებელთაგანმა, როგორც გამოძიებამ გამოარკვია, შეადგინა ფარული ჯგუფი ჩვენი წეს-წყობილების წინააღმდეგ. გადაწყვეტილი იყო პირველ ყოვლისა თქვენი უმორჩილესი მონის მოკვლა და შემდეგ მთელი რედაქციის განადგურება. ჩემის თვალით დავინახე როგორ წაუთალა წვერი კარანდაშს და ცდილობდა ჩემს დამარტოხელებას რომ ვერა-გულათ მკერდი გაეგმირა. საბედნიეროთ ბობოტ მოქმედება დასაწყისშივე ჩამქრალ იქმნა და ამ ხანად გადავრჩი განსაცდელს.


1.

2


3.

4.


5

პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ნ ი.

არა ერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ ჩემს მხატვრულ საქმიანობას საფუძვლათ მუდამ საზოგადო ინტერესი უძევს. ახლაც მსურს მკითხველთ გავაცნო დაახლოებითი მოხაზულობა იმ პიროვნებათა, რომელთაც უფრო მიიპყრეს ჩემი და საზოგადოების ყურადღება.

1. **ვარლამ ბეკოს ძე ბურჯანაძე.** თავმჯდომარე და თავმოძულებული ქართველი მოღვაწეა. ჩვენ წინეთაც დაგვიმშვენებია ჩვენი ჟურნალის ფურცლები მისი სურათით. დიდი დროა, ენერგია და ხმა დახარჯა კავშირისის დასაფუძნებლათ. არჩეულია გამგეობის თავმჯდომარეთ.

2. **პროფ. ზოლოტარიოვი.** ლექტორი პეტრეს ქალაქიდან ჩამოსული. წაიკითხა რამოდენიმე ლექცია და მხურვალე მონაწილეობა მიიღო კამათში.

3. **გენერ. გ. უაზბეგი.** თავმჯდომარე ქართულ დაწესებულებათა, დაესწრო მხოლოდ პირველ კრებას, სადაც წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა.

4. **სახ. სკოლათა დირექტორი ბ. ადოევი.** გატაცებული მომხრე კავშირთა დაფუძნებისა. წარმოსთქვა ისეთი გრძნობიერი სიტყვა, რომ თვალთაგან ცრემლი მომწყვიტა.

5. **ქალ. თავი ა. ხატისოვი.** დაუღალავი მოღვაწე ა. ი. ხატისოვი აქაც ისეთი ხალისით იღწოდა, როგორც ყველგან. წაიკითხა ლექცია გიგიენის შესახებ.

6. **ბ. პალმოვი.** გუმანიტარულ მეცნიერებათა მოციქული. დაუღალავი ლექტორი და მემუსაიფე, წვერში ცოტა ჭაღარა ურევია. ლაპარაკის დროს სრულიად არა ღელავს, პირიქით კიდევაც ხუმრობს და იცინის.

7. **ქ-ნი მასლოვი.** მასწავლებელი ქალი, რომელმაც წაიკითხა მოხსენება თავისუფალი აღზრდის შესახებ. მოხსენებამ ცხარე კამათი გამოიწვია. მასწავლებელი ქალი სდგას კათედრის წინ.

8. **ბ-ნი ხანოიანი.** გაზ. „პაიქარის“ წარმომადგენელი და ავტორი ლექციისა „აღზრდა გარეშე სკოლისა“. მშვენიერი სომხური ენით ლაპარაკობს. თმა წაბლისფერი აქვს და ხმა მქუხარე. მაღალიც არის.

9. **გიორგი ჟორდანია.** ავტორი ქართულ კულტურულ საზოგადოებისა. ჩინებული ორატორი და დაუღალავი კულტურტრეგერი. როცა ლაპარაკობს ხელებს უნდა წამოეყუდოს. როცა სხვებს უსმენს პირი ოდნავ უღიმის. თავი სამკუთხი აქვს.

10. **ქ. ვ—სა.** ყოველგვარ საკითხთა განმარტებაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ჩემს სურათზე ოდნავი მსგავსებაა არიგინალისა.

6.

7.

8.

9.

11. **ბ-ნი სოლოვიანი.** დაუღალავი მოლაპარაკე. სჩანს დიდი გამოცდილების პატრონია ამ დარგში. ხმაც შესწევს.

12. **ნესტორ ცერცვაძე.** მოხუცი ტრიბუნი. სახელი მოიხვეჭა ვირისა და სამეფოს ამბით. ჩვენ სურათზე ცოტა ღიმ გადაკრულია.

13. **ბ-ნი მიხაილოვი.** სახალხო სკოლათა ინსპექტორი. იკისრა შუამდგომლობა სამოსწავლო ოლქის უფროსის და მასწავლებელთა შორის. უშიშარი კაცი ყოფილა.

14. **ქ-ნი ვახვახიშვილი წერეთლისა.** ქალაქის სკოლის მასწავლებელი. ცოტა ილაპარაკა და ისიც უცენზურო.

15. **ბ-ნი ოკუნიანი.** სახელოსნო სასწავლებლის გამგე. ჭალარა შერეული კაცი. ლაპარაკობს დაბეჯითებით და ზოგჯერ განმეორებით.

16. **ალ. ლომთათიძე.** დაუღალავი მოლაპარაკე. უყვარს უფრო წესრიგისათვის სიტყვის აღება. აქვს ხმა დრამატიული ტენორი.

11.

12

13


14.

15


16.

დ ა ს ა ს რ უ ლ ი.

საბოლოოდ დავრწმუნდი, თუ რა ძნელია საზოგადო მოღვაწეობა: ყოველგვარ კრებას უნდა დაესწრო, ლექტორებს უნდა უსმინო, ანგარიშები უნდა სწერო, სხვისი დანაწერი იკითხო და ყოველივე ამისათვის დიდი დიდი პანთეონში დაგმარხონ.

ჩემი უბის წიგნი სავსეა სხვა და სხვა თავებით. დავხატე ზოგი საზოგადოებისათვის, ზოგი სამახსოვროთ, ზოგიც საკოლექციოთ. ვინ იცის, იქნებ მოვიდეს დრო, როდესაც აი, თუნდ ეს პაწაწინა მასწავლებელი ქალი თავისი მოღვაწეობის იუბილეს მართავდეს და მილიონი ქართველი ბავშვი იასა და ვარდებს აყრიდეს. ახლა კი ქოქოლას აყრიან სიანჩხლისა და კაპასობისათვის.

კრებას რომ ბოლო არ მოღებოდა განზრახვა მქონდა მომეწვია ცნობილი ლექტორი გრიგოლ ამაღლობელი. ჩემის აზრით საკმარისი იყო მისი სახალხო სახლის არე-მარეში გამოჩენა, რომ მასწავლებელთა ლანდიც გამქრალიყო.

ეშმაკი.

P. S. უღრმეს მადლობას ვსწირავ ყველა მათ, ვინც ჩემს მხატვრულ ვარჯიშობას ხელი შეუწყო. თუ შეთქმულობის მსხვერპლი არ გავხდი, ვეცდები სამაგიერო სამსახური მეც გაუწიო.

—**კი.**

უხრიკავი სახრიკავათ.

ერთსა კაცსა ცოლი ჰყავდა
უწუნო ლამაზი.
ქმრის ორ-გული, მოღალატე
მასთან ოინბაზი.
მის სიტურფეს ვერ აგიწერთ.
არა ჰყავდა ცალი.
ერთი სიტყვით, იმ მიდამოს
იყო ქალთა თვალი.
ქმარი იყო მომუშავე
ხელოსანი, ხუროო.
ქმარს საქმეზე ისტუმრებდა,
მოსდიოდა კუროო.
ერთხელ, ხუროომ ხარაჩოზე
შეაგორა ძელი
და რა რაღაცა უბედობით
ხის ქვეშ მოჰყვა ხელი—
შინ წავიდა შესახვევათ,
თანაც სასადილოთ.
ნახა. მის ცოლს ვიღაც კაცი
ეკვრის სახადილოთ.
ეს რა ნახა, იმა ხუროომ
ველარ შესძლო თმენა.
თითქმის სრულად დაავიწყდა
ხისქვეშ ხელის ტკენა.
ეცა ყელში ცოლის ტსუმარს:
— რათ შამოხველ აქო?
მარტო ქალთან რას აკეთებ,
ან რა საქმე გაქო.
კუროომ უთხრა: აქ მუდამ ვარ,
დღესაც შემოველი,
შენს ცოლად რათ მოგინათლავს
ჩემი საყვარელი?
გაიმართა წეწვა, გლეჯა,
მეტათ საოცარი,
ლამის კუროომ ამოიდოს
მოღალატის ქმარი.
როს შენიშნა ქმრის ორგულმა
ქმარი წაიქცევა,
თითონ გადგა მოშორებით
ქმარს დაუწყო რჩევა:
— ჩემო ქმარო, მაგრა დადექ
წელში მოდრიკეო,
ფეხი ფეხში გაუყარე
ისრე უხრიკეო.
უთხრა ქმარმა: შენ გაგიწყრეს
ქვეყნის დამბადეო,
უხრიკავი სახრიკავად
რად გამიხადეო?!.

—

ეს ამბავი, თუმც ძველია
დღესაც ბევრი ხდება,
როგორც ვატყობ სახრიკავად
ჩვენც კი გაგვიხდება
თუ დროზედ არ მივატანეთ
მეშაქრეს და ხაბაზს
თორემ მალე მიჰბაძავენ
ხუროს ცოლსა ლამაზს.

ან. განჯისკარელი.

მოხსენება ქუთაისიდან

(უმაღუჯდ ტელეგრაფეთ)

ჰოი ეშმაკო! ჯოჯოხეთისა ხარ მბრძანებელი,
ქვეყანას მართავ, ხელთ გიპყრია საქმენი ძნელი,
შენ კარგად იცი, თუ რა ხდება მუნ, ამა სოფლად,
ჯერ არ ნახულა რომ დაგეგდოს მოყვასი ობლად.
მარა ქუთაისს ვერ მოაპყარ მახვილი თვალი,
რომ მოგენახათ ავსულების მზაკვრული კვალი,
და ჯოჯოხეთის ერთი კუთხე—საბრძანებელი
(რომელს სჭირია განეკურნოს უკურნებელი)
კვლავ ხელში გვეგდო, არ მიგვეცა მტრისთვის საწველათ,
არ გაგვეხადა ფუტურიზმის მინდვრად საცდელათ.
რა შეედრება მხატვრულ კოლხეთს სილამაზითა,
ანუ სიტურფით, სიკეკლუცით და სინაზითა?!.
მისი ქალწულნი ქვეყნად ერთნი გამოსჩვივიან
(ფუტურისტები ამას მუდამ, ყველგან კივიან)
და ეშხიანთა რაზმი „წმიდა“, მარად ქებული,
(„ყანწების“ ზვირთში კიტას ღბით დაბადებული)
ვით ტალღა დიდი მოზღვავებულ მდინარეების,
ჯოჯოხეთს ვფიცავ, მთელ ქვეყანას ბრძოლათ შეებმის.
ორი წელია დათვრა სისხლით მთელი მსოფლიო,
მარა ამდენი შიში, ძრწოლა, არევ-დარევა,
ქალების ჩხუბი, ბრძოლა დიდი, ხმალში ჩარევა,
პირველი არის ქვეყანაზე არ გვახსოვს მზგავსი

(სჩანს შეითვისეს და შეიგნეს პაოლოს მრწამსი).
ხომ გაგონდებათ წარსულ თვეში როგორ ამხედრდა
მშვენიერ ასულთ გრძნობა წმინდა, დიდი, მაღალი,
როცა „ყანწებში“ ფუტურიზმმა გამოილაშქრა
და დარიანის ფარჩის კაბა გამოიმასქნა.
ან ვის არ ახსოვს პროტესტების დიდი ვერსია,
(აპილპილება მუნ მცხოვრებთა არის წესია)
როცა პაოლოს ჩამოხრჩობით ემუქრებოდენ
(ფუტურისტები მაშინ შიშით ვერსად ჩდებოდენ),
მარა განელდა აღგზნებული ბრძოლისა სული
და დაიმშვიდეს, დაიწყნარეს ქალებმაც გული.

—

სიზმრათ მოედო დარიანის ბედნიერება,
(ალბათ მრავალ ქალს კატის ლოკვა მისებრ ენება)
და ქუთაისში კვლავ გამეფდა ახალი სენი,
კვალათ მოიცვა ფუტურიზმმა კოლხეთი ჩვენი.
და ივნისისა შვიდსა რიცხვსა, თეატრსა შინა,
(სადაც პაოლომ ნიჭი თვისი გამოაჩინა)
ხალხი შემოკრბა, ეტლი ეტლზე მოიჩქაროდა,
კასა აივსო (დასაჯდომიც არა კმაროდა).
წარმოდგა სცენათ ვაჟი „თლილი“, „წერწეტოვანი“
ცისფერი ჰქონდა ლოყა მკრთალი, ხმაი—ხმოვანი,
მას აეტუზა „ვაჟი ლაღი, შმაგი და ვრცელი“*),
(ვინაც მოხრილა კისრის ქვევით ვით რკინის ცელი)
„გაგვაცამტვერეს“, სიყვარული დაგმეს, აძაგეს
და ჩაეხვიენ უსირცხვილოთ ელენას ბაგეს.
გაისმა ვაშა, ტაში ცხარე, ტაში მხურვალე
და გადმოიპნა მოწონების ხმაი მქუხარე.
გუშინ ხმლებითა ეკვეთოდენ, ჯვარსა აცვამდენ,
დღეს კი „ქალები“ სახეს მათსა ეამბორება
(სჩანს ენატრებათ დარიანის, „ზანტი ზმორება“)
და მოელიან „ვაჟის კოცნას, კოცნას ნამიანს“
ოი ქალებო, ვინ მოგტაცებთ „მწველ ადამიანს“.
ეგრეთ „შეამკეს“ მელპომენის ტაძარი ძველი,
სიტყვები ითქვა მეტად „ზრდილი“, „ლამაზი“, გრძელი,
გუცა რომ არის, ფარქოსაძე ქებული გვარათ,
(ვინაც დასკლებს უკურთხებს და აგინებს მარად)
წერეთლებისა გვარის შვილი ერთი ოსტატი
(ფედერალისტთა მოსაწონი ლექტორი, ხატი)
და სხვა მრავალი დიდი რაზმის ჯარი ქებული
(„საქართველოსა“ გაჩენიდან მარად კლებული)
ყველა ამბობდა სიტყვებს ცხარეს, სიტყვებს მქუ-
ხარეს
და უმშვიდებდა ქალებს აზრებს, აზრებს მწუხარეს.
ხაშით ნასუქი „მეგობარის“ გრიგოლი დიდი,
(ვითა სტამბოლის უხუცესი აბდულ ჰამიდი)
რომელს კისერი გადეღუნა ვით კერატს ტყისა
(რითაც არ ძინდა მე მიზეზი გავხთე წყენისა)
კიტას ლაშქარი, ოცხელისგან წმინდათ ნაზარდნი,
ლანძღვის საქმეში მარად ცქვიტნი, ქჩარი და მარდნი
ტაშსა უკრავდენ, მხიარულნი დარიანის გმირს,
იმედთა გვირგვინს თავს ადგამდენ „მიუსაფარ მწირს“.

—

რა ეს სურათი მე ვიხილე, ავენთე ცეცხლით,
წამსა შემოვკარ აბჯარი რაშს, რაშს ჯოჯოხეთის
და გავექანე სამშვიდობო მეპოვა მხარე,
არ მომსწრებოდა სიბერისას წუთები მწარე...
და მივაგენი ნავთსაყუდარს ქალაქის ახლოს
(ჯერ იმედი მაქვს, აქ, მგონია, ვერავინ მნახოს)
პაზიციები გამოვნახე, სანგრებს ვამაგრებ,
დიდი ბრძოლისთვის ვემზადები მჭირდება ჯარი
და არ დამღუპო მომაშველე მებრძოლთ ლაშქარი.
არ დამაობლო, არ გამკიცხო, არ მომიძულო
(ვით იტალიამ, არ მიმუხთლო, არ მიორგულო)
თორემ დარჩება ფუტურისტებს მთელი კოლხეთი
და შეძრწუნდება ამა ამბით სულ ჯოჯოხეთი.
ჯარი პირდაპირ სურამის მთით არ გამაგზავნონ,
(იქნებ მალულათ ამოხოცონ, ან რამე ავნონ)
სჯობს შორი გზიდან მოიარონ, მოვიდენ წყნარათ
(მხოლოდ არ სთვლიმონ, იმამაცონ, იარონ ჩქარათ)
და ვით ვერდენთან, ვოსა ფორტსა გერმანელებმა
(ბრძოლისა ცეცხლით ანთებულმა როგორც მგე-
ლებმა)
შემოუარონ სამხრეთიდან რიონის მხარეს
და შეუერთდენ იქ ჩასაფრულ ჯარსა დამხმარეს.
სტრატეგაულათ უძლევია ეს პოზიცია,
(შენ მართალია, ამის გეგმა არ მოგიცია),
მარა მენდევი, ჯარი მინდა მაშველი ჩქარა,
დიდ ხანს ვიცადე, აწ ლოდინი მომწყინდა კმარა!..

ხუნაგი.

*) ტიტე ტაბიძე არის, ვგონებ, მათი დამცველი.

მესტვირული

(ჯაზ. № 33)

განმანაწილებელ პუნკტში
მოსთქვამენ „ვაჰ მე! დედაო,
დიდი ხანია, ამბობენ
ნიკიტა მიბრძანდებაო,
ხელს ვერ შეუშლის ვერავინ,
ვინც მოინდომებს, სცდებაო,
მაგრამ ვხედავდით ბოჭავდა
რაღაცა მანქანებაო,
„სულს უხაროდა მთლიანად
გულს ეძლეოდა შვებაო“,
დღეს კი აშკარად ვიხილეთ,
„ტირილის“ დღეი დგება,
გარაჟის უფროსობასა
მან თავი მიანებაო,
ოტსტავკის თხოვნა-ქაღალდი
მიართვა ზედი-ზედაო,
ძაღლთამტერაძე დანიშნეს
ნიკიტას ადგილზედაო,
ამ შავი დღისა მომსწრესა,
გულო, რათ გიკვირს ბნედაო?
ნიკიტას ხტუნვა, თამაში,
გარმოშკის დაკვრა, სტვენაო,
უზუნდარა და ლეკური,
ბუქნა და თითზე დგომაო,
ზედ მიწევნითა რაპორტი—
და დაბეზღების წერაო,
ლოთობა შოფერებთანა,
ავტომობილთა მტვრევაო,
მტკვრის პირას კოტრიალობა,
ტლაშა-ტლუ'ში და ხვევნაო,
ვისაც უნახავს—კი იტყვის:
პუნქტს „გაწყრომია“ ზენაო
ვინა მოგვტაცა ნიკიტა
მსახური ძველის ძველაო?
მისებრი ღმერთმა წაგვართვას,
რამდენიც გვყავდეს ყველაო!..
ვერ შეგელევით, ნიკიტჯან,
თავი არ მოგვიკვდებაო,
ნუ ნუ გაგვწირავ გეთაყვა,
სულიმც ნუ წაგიწყდებაო!..

შ—ი.

შარადა

შარადა ჩვენი არ ითხოვს
დიდი ხნის კვლევა ძიებას,
არცა სხვა და სხვა ნაწილებს
რომ ერთმანეთსა მიებას.

პირველსა ასოს ჩამოვსჭრით
ერთსა ხუცურსა სიტყვასა
(არ ვნაღვლობ ჩვენიმღვდლებისგან
თუნდ საყვედურიც ითქვასა).

სიტყვა ის ნადიმს აღნიშნავს
ნადიმსა საიდუმლოსა,
სად მაცხოვარი, იესო
მკითხველმა დაიგულვოსა.

და მზად გვექნება შარადა
სიტყვა დაგვრჩება მთელია
რომელიც მართვის სისტემის
სახელის გამომთქმელია.

რითაც მმართველი წრეები
ფიქრობენ ამაყობასა
რომ ამ „ნობათით“ შესძლებენ
ჩვენს „სრულ ბედნიერ ყოფასა“.

ხალხი კი ამბობს: თუმც იგი
ფრთებ შეკვეცილი არიო
მაინც „სულ არარაობას
სჯობს ცალ უღელა ხარიო“.

კვახი.

მოსენიება

ქ. ბაქო. (ცოტა დაგვიანებული წერილი). ბ-ნო ეშმაკო! ალბათ გგონია, რომ სადაც ბევრი ფულია, იქ ყველაფერი შენს გემოზე იქნება მოწყობილი და შენი მათრახი ალარ იმუშავებს. პირიქით. აქ მართალია ფულიც ბევრია, ნავთიც და ჭვარტლიც, მაგრამ საეშმაკო საქმეც ბევრია. მაგალითად აქ არსებობს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების განყოფილება, ქართული სკოლა, სკოლის სექცია და ბანოვანთა წრეც, მაგრამ არ არსებობს აბა თუ მიხვდე რა?

— დიახ საბავშო ბაღი.

ამას წინეთ ვიღაც ენის ცხელებით ავათმყოფ გულუბრყვილო ადამიანს სკოლის სექციაში წამოცდენია, რომ წოგიერთ პირველ ყოფილ ადამიანთა ქვეყნებში, მაგალითად: ამერიკაში, იტალიაში, გერმანიაში და წარმოიდგინე საფრანგეთშიაც, აქა-იქ თითო-ოროლა საბავშვო ბაღი ქე აგდიაო და ერთი ბაღი რომ ქართველებსაც გვეგდოს ბაქოში ვითომ რა იქნებაო. სექცია ახმაურებულა წ. კ. ზოგიერთ წევრებისათვისაც დაუძახია, ვიღაც სექციის ამხმაურებელსავით გულუბრყვილო ბანოვანი მოუნახავს, რომელსაც კერძო სხდომაზე მოხსენება ისე ლამაზათ ჩაუჩონგურებია რომ სექციასაც და წ. კ. წევრებსაც მოსწონებიათ. მოსწონებიათ და თავის აზრიც ჩონგურზე ისე ჩაუკრიმანჭულებიათ, რომ მომხსენებელს კინალამ გულზე შამოჰყრია; „რა კი ჩვენ ფულები ბევრი გვაქვს სწავლის ფული ცოტა უნდა იყოსო“. მეჩონგურეს კი ჰგონებია, რა კი ბაღი ჰქვია სწავლა სულ უფასოთ უნდა იყოსო და დაუდგენიათ თვეში მხოლოდ თხუთმეტი მანეთი უნდა გადაიხადოს თითო მოსწავლემაო. ბანოვანთა წრესაც ცალკე წაუკითხიონია მოხსენება იმავე ბანოვანისათვის. ზოგი მათგანი თურმე უფასოდ მზარეულობასაც კი კისრულობდა ბაღში, ისე გაუტაცნია მოხსენებას, მარა ბაღის გახსნა თავის თავზე ვერ უდვიათ. თუ ბაღს შენ გახსნი ჩვენ მერე გავერევით საქმეშიო.

აბა ადვილი ხომ არ არის თავისი თავით სიარული.

ამ ამბავმა ძლიერ ააღელვა აქაური მუშები და წვრილი მშრომელ-მოხელეები. ალბათ რაღაც ახალ მახეს გვიგებენ, თორემ ასე მცირედი შრომის ფასით რა უნდა ასწავლონ ჩვენ შვილებსო და სანამ, თუ მეტი არ შეიძლება, ოთხჯერ მაინც არ გაადიდებენ სწავლის ფასს ბავშვებს ბაღში არ მივაბარებთო.

აბა შენ იცი ბ. ეშმაკო, აძ საქმის მოსაწყობათ თუ ჩამეისეირნებ აქეთ და შენებურათ ჩაგონებ ვისაც და როგორი ჩაგონებაც ესაჭიროება.

დია.

—

ჭიათურა.

სულ მალე, მალე დადგება ჟამი,
(დანამდვილებით ვერ გეტყვი როდის),
როს ალიგვება მიწის პირიდან,
„ლილიპუტები“ ახალი მოდის.
ყველანი თითქო სიქმიანობენ,
თავს გვაბეზრებენ, ყაყანით, „შრომით“
და გმირებია იმ შემთხვევაში,
როს ილლებიან მუშებთან ომით.
ფაცი-ფუცობენ, ვით საქმის ხალხი,
გამოგვიჭედენ ორთავე ყურებს,
შენ თუნდ დუმილით გაეც პასუხი,
იმათ იციან სად სჭედენ ფულებს.
და აი უცებ თქვენ დაინახავთ
მას, ვის ბატიც არ მიებარება,
სადმე ადგალი, თფილი ადგილი,
ხალხის საწველათ ჩაებარება.
მათ შემდეგ ისე ალარ იციან,
უბრალოდ სიცილ და შებრალება:
კარებს ჩაჭკეტენ, დროს წააწერენ,
თუმცა არავინ არ ეძალება.
მიდიან დრონი, ჩვეულებრივათ,
ეკლებენ სიტყვებს, უკლებენ წერას,
თავს მძიმეთ გრძნობენ, სჩანს რაღაც მოხდა,
შორით იწყებენ ბინოკლით მზერას.
ეს იცი რაა? ჩემო მკითხველო,
იქნებ არ იცი, სირცხვილო! არა?
ლიდერი გახდა, დაემსახურა,
ეგ ჭკუით მცირე და მეტიჩარა.
ფედესალისტთა ბელადთა შორის,
დამისახელეთ ვინც გინდათ ისა,
რომ მზგავსი ფანდით არ ესარგებლოს,
და არ აევსოს საფულე ქისა.
და განა ახლა გასაკვირია,
მოქმედებანი სხვისი და სხვისა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლების რწმენა მხოლოდ ფულია,
რაც ბუნებისგან მათ შეეთვისა.

—

ერთ მშვენიერ დღეს, მე სხვათა შორის,
თეატრში შეველ, დავიდგი სკამი.
და ერთ კუთხეში, თუ შვა ადგილას
ერთი ყმაწვილი და ქალი სამი,
იჯდა და იდგა, თუმცა პიესას
მაღლა სცენაზე ჰქონდა დინება,
ძირს აქ მეორე გამართეს ამათ
და შიგ ჩიურთეს ლანძღვა გინება.
მიდის შენიშვნა, შენიშვნაზედა
მაგრამ სცენა კვლავ მიდის სცენაზე
გუნებაშია, ალბათ, ფიქრობდენ:
— „სცადეთ დამადეთ კლიტე ენაზე“
ვინ იყვნენ ნეტავ ასეთი ურჩნი,
ეგზომ უზრდელნი და მეტიჩარნი,
თვით არ ისმენდენ, სხვას არ ასმენდენ,
აზრით ღალაკნი და უმეცარნი?
მკითხავთ? მაშ გეტყვი: პედაგოგები,
„მამულიშვილთა“ უბნის გმირები,
განგებ, ზაკაზათ, გამოგზავნილნი,
და ამ გამოსვლით კმაყოფილები!
პირველი ნუცა, იგივ ნუციკო,
მეორე სადიკ ანდა სადიკო,
მე არ მეგონა, მსგავსი ჯიშისა,
ადამიანთა ტომში თუ იყო.
მესამე, მართლა სულ დამავიწყდა,
ეგ რენეგატი „ვაშა“ რებეკა,
თუ ტყვილი იყოს, შემწყრეს მედინა,
თუ ეს არ გჯერა, გამიწყრეს მეკა.
მეოთხე ვაჟი, შავათ მოსილი
გმირ იაშვილის აფთექის კაცი
ისე დახტოდა სკამიდან სკამზე
ვით, მოჭიდავე, მეჯოგის ვაცი.
ხან წინ სცენასა ზურგს მიაქცევდა
„სმირნაზე“ იდგა, ვით „ნოვობრანცი“,
თქვენ თავსა ვფიცავ, ასეთი ქცევა,
მოსაბეზრია და დასაქანცი.
ეხ შემოქმედო! რა გცოდეთ ნეტავ
ასეთ აღმზრდელებს, რომ გვაწვდი ჩვენა,
თვით ასაზრდელნი, სხვას რას აღზრდიან,
ამაზედ მოგვეც პასუხი თქვენა.
მე კი ისევე ვიტირებ ამათ,
ვიტირებ იმათ, როგორც წესია,
დე, დაინახონ თვისი ნაღვაწი
სიცოცხლეშივე, უკეთესია.

ს—?

—

სუფსა. სუფსაში ქურდობა „მოისპო“ რისთვისაც მთელი საზოგადოება მადლობას უძღვნის აქაურ მცხოვრებს ექვთიმე მეჩეხიას.

— კარგა ხანია, აქაური დეპუტატ-სანიტარები და განსაკუთრებით კი მოდისკა ქალები „სოკო-კვერცხის“ ძებნას შეუდგენ.

— ტყუილი გამოდგა ხმები, ვითომც აქაური სადგურის ბილეთის გამყიდავი ქ-ნი ჯიქია, ბილეთის გაყიდვის დროს ხალხს უზრდელათ ეპყრობოდეს. პირიქით ყველას თავვზიანათ ეპყრობა და თითოეულ ბილეთზე ორ-ორ კაპეიკს ხურდას...*)

სოკო-კვერცხი.

—

თფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის დირექტორი და მისი სამოქმედო პროგრამა. ბ. ალ. ჭიჭინაძემ ჩაიბარია თუ არა თფილ. სათავ-აზნაურო გიმნაზია, გაემგზავრა ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, იყიდა ორი შაურიანი წმიდა სანთელი, დაიჩოქა და წმ. გიორგის ხატის წინ დასდო შემდეგი ფიცი, რომელიც შემდეგში სარჩულად დაედო მთელ მის სადირექტორო მოღვაწეობას:

უფალო მომისმინე მონასა შენსა!

1) ამიერიდან მე ვიქნები სრული და დამოუკიდებელი „ხაზეინი“ ჩემდამი რწმუნებულ გიმნაზიისა.

2) ჩემს სადირექტოროში ადგილი არ ექნება ურჩ მასწავლებლებს, მოწაფეებს „სტოროჟებს“.

3) ღმერთმა დამიფაროს სომხებისა და სოციალისტებისაგან, რომელნიც მტერნი არიან ქართველი ერისა.

4) უნდა ავაშენო და გავალამაზო გიმნაზიაში არსებული გატიტვლებული ეკლესია, თუნდ ის თანხა, რომელიც მას მოუნდება, ბევრ ღარიბ მოწაფეებს გაანთავისუფლებს, მაგრამ შენც მოგეხსენება უფალო, რომ ჩვენთვის დღეს ეროვნული ეკლესია უფრო საჭიროა, ვიდრე გაკოტრებული მოწაფეები.

5) ყველა მასწავლებლებს და მოწაფეებს ნე-

*) ქვევით ტელეგრამა დამახინჯებული იყო და ვერ გავარჩიეთ.

რედ.

ბით თუ უნებლიეთ ვაიძულებ ყოველ უქმე დღეს ეკლესიაში იარონ, რათა გადიდონ შენ უფალო და გაამდიდრონ ეკლესია ჩემი.

6) მე ნებას არ მივცემ არც ერთ მოწაფეს რეფერატის წაკითხვისას, სანამ მე წინდაწინ არ განვაცენზორებ წერილსა მას.

7) ვეცდები არ დავითხოვო არც ერთი თავადი მოწაფე, თუნდა ის ყოველმხრივ ზნე დაცემული იყოს, რადგანაც სასურველია, რაც შეიძლება მეტ ეროვნულმა მოწაფემ და ისიც თავადმა დაამთავროს გიმნაზია, რათა გაძლიერდეს ჩვენი პროგრესიული, ბრწყინვალე წოდება.

—

ამის შემდეგ ის დაბრუნდა შინ და შეუდგა თავის აღთქმის პრაქტიკულად განხორციელებას*).

დვორიანისტი.

—

ქ. შ. წ. კ. გ. ს. მასწავლებელთა კრებაზე ხანგრძლივ კამათში გამოირეკა ის, თუ რა უნდა დაედოს საფუძვლათ პირველ დაწყებით სკოლებში სახმარ არითმეტიკის სახელმძღვანელოს. ვინაიდან მეორე და განსაკუთრებით მესამე განყოფილების პროგრამაში მოხსენებულია ოთხი მოქმედება ნაწევრებზე, ამიტომ უმჯობესია თავიდანვე ე. ი. 1-ლ განყ. სწავლება იწყებოდეს ნაწევრებით ხოლო ამ შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა ათ წილად ნაწევროვან რიცხვებს, როგორც ნაწევართა უუუუმარტივეს ფორმას. როცა სახელმძღვანელო და შემდეგ სწავლება ამ პრინციპზე იქნება დამყარებული, მაშინ ის გაამართლებს საღ პედაგოგიურ მოსაზრებებს. ნაწევარი უუუპატარავესი და უუუმარტივესი ფორმაა. აქედგან მოწაფეები გადავლენ მთელ რიცხვებზე, როგორც უდიდეს ფორმებზე და ისე არითმეტიკის სწავლების საქმეში დაცულ იქნება სრული თანდათანობა და სისტემა.

*) მე, ამის ავტორი, ვაცხადებ და დავადასტურებ რომ დირექტორი პირნათლად ემსახურებოდა თავის დაპირებას.

ფოსტა

იასონ ციცლიბას. პირველი თქვენი „ლექსი“ ასე იწყება:

„ნეტავ, დარო, რას მაჭქარამ,
რას ჩურჩეტობ, რასა ოხრობ?
ჯერამ შენს თავს დაუკვირდი
რასა ჩმახავ და რას უბედობ?!“

ეგ ყოველთვის ასეა, ბ-ნო იასონ! „თავის თავს“ არ უკვირდებიან და არ „კითხულობენ“, თუ რასა სჩმახავენ და რას ოხრობენ. ჩვენ გაგვხადა განგებამ ვალდებული, „ვიკითხოთ“ ასეთი დაუკვირვებელი თავის ნაჩმახავი.

მეორე კუპლეტი თქვენი ლექსისა ასეთია:

„ტანით უშნო, უდაჩათო,
მოშაგონებ მაკე დორსა,
სხვა რა გითხრა, ან რა გკადრო
მაგისთანა უკმეხ ვირსა“.

თქვენ თქვენს ლექსში როგორც გსურდეთ ისე მოექეცით უკმეხ ვირს, ეს თქვენი ნებაა, ჩვენ კი ჩვენს ჟურნალში მათ ადგილს ვერ დავუთმობთ.

„ძველ დროში „ვეფხის ტყაოსანი“ ძვირფასი მზითვი იყო ქართველი ქალისათვის“.

(ლექცია ლ. ბოცვაძისა)

ძველათ ქართველი ასულის მშვენებას „ვეფხის ტყაოსანი“ ჩრდილავდა და საქმრონი ერთი მეორეს ასწრებდენ.

დღეს მთელი წიგნთ საცავიც აღარაფერს შველის.

ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე.